საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი

N 113
24/06/2022

113-01-4-202206241812

„სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელი პირების ფაქსიმილიის დამზადებისა და გამოყენების წესის შესახებ“ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 მარტის N11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საავტომობილო ტრანსპორტის დარგში მოქმედ ნებართვებზე, ავტორიზაციებზე, სერტიფიკატებზე და სხვა დოკუმენტებზე ხელმოწერისა და მათი გაცემის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 25 მაისის N90 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს (შემდგომ - სააგენტო) დირექტორის 2022 წლის 17 ივნისის N104 ბრძანების და სააგენტოს ტრანსპორტის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათის (N575, 22.06.22წ) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელი პირების ფაქსიმილიის დამზადებისა და გამოყენების წესის შესახებ“ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 მარტის N11 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სააგენტოში ფაქსიმილიის გამოყენების უფლება აქვს დირექტორს, დირექტორის პირველ მოადგილეს, სააგენტოს ტრანსპორტის უსაფრთხოების სამსახურის უფროსს, ამავე სამსახურის შტატიან თანამშრომლებს, სააგენტოს მომხმარებლებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს და სააგენტოს მომხმარებლებთან ურთიერთობის დეპარტამენტის თბილისის რეგიონული განყოფილების უფროსს.“.

ბ) ბრძანების 2^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^1. ტრანსპორტის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის და ამავე სამსახურის შტატიანი თანამშრომლების ფაქსიმილიები ინახება მათთან და გამოიყენება მხოლოდ მათ მიერ - ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის (ECMT) - ს სერტიფიკატებზე,

როგორიცაა: სატვირთო ავტომობილის გზისთვის ვარგისობის ტესტის სერტიფიკატი, მისაბმელის ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის გზისთვის ვარგისობის ტესტის სერტიფიკატი, სატვირთო ავტომობილის ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატი, მისაბმელის/ნახევრად მისაბმელის ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატი, აგრეთვე განსაზღვრული სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობაზე.“.

2. დაევალოს სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული დეპარტამენტს ფაქსიმილიების დამზადება ტრანსპორტის უსაფრთხოების სამსახურის შემდეგი თანამშრომლებისთვის:

ა) ვასილ მარგიშვილი
ბ) თამარი ობოლაძე
გ) თამარ გაბრიჭიძე
დ) მარიამ ქანთარია
ე) ანა ვახტანგშვილი

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ლევან გამყრელიძე